ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0901/10/008

(კოდი 44521110)

ქ. თბილისი 28 იანვარი 2011 წელი

ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა, გამგებლის თ. გრიგალაშვილის სახით, (შემდგომში წოდებული, როგორც "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „გეორგინა" (შემდგომში წოდებული, როგორც "მიმწოდებელი"), დირექტორის ც.ფუტკარაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია რაიონის ბიუჯეტის სახსრებით ციფრული საკეტის სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

II. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტია 1 ცალი ციფრული საკეტის მიწოდება.

III. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში;
3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს, დღგ-სა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ღირებულების გათვალისწინებით.

IV. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 5 თებერვლის ჩათვლით;
4.2. მიწოდების ადგილი-რაიონის გამგეობის შენობა, ნავთლუღის ქუჩა №8-1.

V. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

VI. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში;
6.2. შესყიდული საქონლის ღირებულების ანაზღაურება როგორც წესი მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე;
6.3. ანაზღაურების ადგილი ქ.თბილისი.

VII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მიღებისთანავე აწარმოოს შესყიდული საქონლის ხარისხის ინსპექტირება;
7.2. ინსპექტირებას განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი: ლ.ჯავახიშვილი-აპარატის უფროსი, ნ. ედილაშვილი-საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი, ა. ნებიერიძე-საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი და თ. გეგია-აპარატის მთავარი სპეციალისტი:
7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

VIII. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან 2011 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

IX. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

9.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

9.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

9.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი ეგზემპლარი-შემსყიდველთან, ერთი ეგზემპლარი-მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

9.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები და ბეჭედი

შემსყიდველი:

ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1
სს „ლიბერთი ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE95LB 0125152101627000
კოდი LBRTGE22
საიდენტ. კოდი 208204959

გამგებელი:

_____ თ. ბრიგალაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „გეორგინა"
მის. ქ.თბილისი, ა.წერეთლის გამზ. №89
სს „პროკრედიტბანკი"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE03PC0133600100037617
კოდი 220101922 SWIFT:MIBGGE22
საიდენტ. კოდი 202192509

დირექტორი:

_____ ც.ფუტკარაძე